ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 22

1 მარტი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ქ. ჯოხაძე, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, ნ. ვაჩეიშვილი, ვ. ძნელაძე, ა. ლაშხი, ზ. დავითულიანი, მ. დარჩია.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ახვლედიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ოთარ გრიგოლია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. თევდორე ისაკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ლევან დავითაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ალექსანდრე ხუჯაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. ქეთევან მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. დავით რურუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ირაკლი ნადირაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. ლევან ხაბეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

2. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (12-0319058156-03; 27.02.2019).

   მომხსენებელი: ბატონი ლევან მიქავა
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე მიესალმა სხდომის მონაწილეებს, წარადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

საკრებულოს სარევიზიო, განათლებისა და კულტურის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო და სატრანსპორტო საკითხთა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი ზარქუამ განმარტა, რომ სხდომაზე განიხილებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი, რომლის შესახებაც დეტალურ ინფორმაციას წარმოადგენდა თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილე, ბატონი ლევან მიქავა.

ბატონი ლევან მიქავას განმარტებით, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 62 820,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 063 101,8 ათასი ლარით. ცვლილებები ძირითადად ხორციელდება სესხის სახით მოზიდული სახსრების ბიუჯეტში ასახვით, რაზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიღებული აქვს თანხმობები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N29 და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 თებერვლის N335 განკარგულებებით.

ბატონი ლევან მიქავას ცნობით, სესხის აღების მიზნით კომერციულ ბანკებში გაიხსნება საკრედიტო ხაზი, რომლის აუცილებლობაც განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებით. წარმოდგენილი ცვლილებებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საშუალება ეძლევა დროულად განახორციელოს სხვადასხვა მასშტაბური პროექტები - თბილისის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები და კახეთის გზატკეცილის რეაბილიტაცია.

ბატონი ლევან მიქავას განმარტებით, ბიუჯეტის წარმოდგენილ ცვლილებებში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და რაიონული გამგეობების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული თანხების ხარჯზე ხორციელდება.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის ინფორმაციით, ბიუჯეტის ზრდისა და მოძიებული ეკონომიების ხარჯზე, სულ 68 324,6 ათასი ლარი გადანაწილდა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე. **იზრდება** სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) იზრდება 1 880,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძებები (კოდი 02 09 01) იზრდება 4 800,0 ათასი ლარით; ემატება პროგრამა 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები 500.0 ათასი ლარის ოდენობით; პროგრამას თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) ემატება 200,0 ათასი ლარი; ქვეპროგრამას დაავადებათა სკრინიგი (კოდი 06 01 02) ემატება 450,0 ათასი ლარი; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის

18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) იზრდება 30,0 ათასი ლარით;

მისივე თქმით, სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) იზრდება 3 357,0 ათასი ლარით; პროგრამა ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) იზრდება 27 920,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებებს (კოდი 03 01) ემატება 5 200,0 ათასი ლარი; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) იზრდება 3 789,6 ათასი ლარით; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) იზრდება 557,3 ათასი ლარით; ხოლო, ქვეპროგრამა მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) იზრდება 200,0 ათასი ლარით. კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) იზრდება 200,0 ათასი ლარით.

მერიის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და კეთილმოწყობის ღონისძიებებზე და აღნიშნა, რომ იზრდება გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში სულ 12 262,2 ათასი ლარით. მათ შორის გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში - 2 907,9 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 1 398,7 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 124,3 ათასი ლარი, ვაკის რაიონში 1 266,4 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 415,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში 300,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში -2000,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში 600,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში 250,0 ათასი ლარი. იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში 2 884,3 ათასი ლარით. მათ გლდანის რაიონში - 494,3 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში - 162,3 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 500,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 127,8 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 600,0 ათასი ლარი.

ბატონი ლევან მიქავას ინფორმაციით, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფის პროგრამას (კოდი 09 01) ემატება 3 992,7 ათასი ლარი; იზრდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის ხარჯები (კოდი 10 28) 101,3 ათასი ლარით. გარდა ამისა ბიუჯეტში ასახულია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების ქვეპროგრამა 37,2 ათასი ლარის ოდენობით, გასულ წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის შემცირების ხარჯზე.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით **მცირდება** შემდეგ საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსება: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) 3 200,0 ათასი ლარით; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) 1 600,0 ათასი ლარით; კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) 300,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) 30,0 ათასი ლარით; ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) 4,8 ათასი ლარით; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 07) 79,7 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) 83,4 ათასი ლარით; ხოლო მერიის ადმინისტრაციის ხარჯები (კოდი 10 02) 206,8 ათასი ლარით.

მერიის წარმომადგენლის მოხსენების შემდეგ, საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტით, იზრდება ქალაქისათვის ნაკლებადმნიშვნელოვანი პროგრამების დაფინანსება, სინამდვილეს არ შეესაბამება. დეპუტატის თქმით, რეალურად დედაქალაქის ბიუჯეტში მიღებული ეკონიომიების ხარჯზე, თანხები ნაწილდება მნიშვნელოვან პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: ცვლილებით გათვალისწინებული 3 000 000 ლარი მოხმარდება დედაქალაქის სხვადასხვა რაიონის გამგეობაში მდებარე სერვის-ცენტრების გარემონტებას. მისივე თქმით, თბილისის 2019 წლის ბიუჯეტს დამატებული 68 324,6 ათასი ლარი გათალისწინებულია კონკრეტულ ინფრასტრუქუტურულ პროექტებზე.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულოს ოპოზიციას მხარი არ დაუჭერია თბილისის მთავრობისთვის კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნაზე. დეპუტატი დაინტერესდა, კონკრეტულად რომელი კომერციული ბანკები მონაწილეობდნენ აღნიშნული საკრედიტო ხაზის შესახებ გამოცხადებულ ტენდერში, რომელმა გაიმარჯვა და რა პირობებით. ბატონი ირაკლი ნადირაძე ასევე, დაინტერესდა რა მიზნით იზრდება სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) 3 357,0 ათასი ლარით.

ბატონმა ლევან მიქავამ განმარტა, რომ საკრედიტო ხაზის შესახებ გამართულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ექვსმა ბანკმა, მათ შორის იყო „თი-ბი-სი ბანკი", „პროკრედიტ ბანკი", „ლიბერთი ბანკი", რომელთაგან მოწოდებული ინფორმაციების შესწავლის შემდეგ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ დადგინდა, რომ ყველაზე მისაღები პირობები ჰქონდათ „თი-ბი-სი ბანკსა" და „ლიბერთი ბანკს". ბატონი ლევანის ინფორმაციით, საკრედიტო ხაზის ფარგლებში აღებულ სესხზე დაირიცხება 10,3%-10,5%.

საკრებულოს წევრი, ბატონი ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა აღნიშნული სესხის პირობებითა და ხელშეკრულებით, სადაც გაწერილი იქნება დეტალური პირობები, რაზეც ბატონმა ლევან მიქავამ განმარტა, რომ სესხის პირობები ცალკე არ მტკიცდება და იგი ასახული იქნება სესხის ხელშეკრულებაში.

ბატონმა ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა სესხის ხანგრძლივობით, რაზეც თბილისის მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ ეტაპზე არ არის განსაზღვრული სესხის ვადა და ის დამოკიდებული იქნება მომავალ საჭიროებებზე. ბატონმა ირაკლი ნადირაძემ თქვა, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში არის შესაბამისი კოდი, სადაც გაწერილია თუ რა თანხები უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტმა სესხით მომსახურებისთვის. მისი თქმით, ეს ასიგნება უკვე 5 მილიონ ლარს შეადგენს. ამასთან, თბილისის მერიას აქვს ,,ევროპის რეკონსტრუქციისა და განვთარების ბანკისა" და ,,მუნიციპალური განვითარების ფონდის" სესხები აღებული,

რისთვისაც 2 მილიონ ლარამდე პროცენტს იხდის. შესაბამისად, იგი დაინტერესდა თბილისის მერიას წინასწარ აქვს თუ არა განსაზღვრული, დაახლოებთ რა ვადაში მოუწევს აღებული სესხის დაფარვა.

ამავე საკითხს გამოეხმაურა კომისიის წევრი, ბატონი ვლადიმერ ძნელაძე და აღნიშნა, რომ საკრედტო ხაზის ხელშეკრულება ერთწლიანია და არ იდება ხუთი ან ექვსი წლით, ვინაიდან მოკლევადიანი სესხი ერთ წელიწადში უნდა დაიხუროს.

ბატონმა ლევან მიქავამ მიმართა ბატონ ირაკლი ნადირაძეს და განუმარტა, რომ თბილისის მერიას ამჟამად აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან გადმოტანილი სესხი, რომელიც სამინისტრომ, თავის მხრივ, აიღო ,,ევროპის რეკონსტრუქციისა და განვთარების ბანკისაგან", დედაქალაქში ახალი ავტობუსების შემოსაყვანად; მეორე სესხი კი აღებულია ,,მუნიციპალური განვითარების ფონდისაგან". ამიტომ, ამ ეტაპზე თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სხვა სესხის დასაფარად საჭირო თანხები არ არის გათვალისწინებული. ამას გარდა, მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულია კონკრეტული ლიმიტები, რომლის ფარგლებს გარეთ დედაქალაქის მერიას არ შეუძლია სესხის აღება და შესაბამისად, თბილისის მერია ხსენებულ ლიმიტებს აკმაყოფილებს.

ბატონი ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა მერიის მიერ გადასახდელი პროცენტის მაქსიმუმით, რაზეც ბატონმა ლევან მიქავამ აღნიშნა, რომ თუ მერია 2 მილიონ ლარს აიღებს, სესხზე გადასახდელი იქნება 10% და ვინაიდან შესაძლებელია, რომ ნასესხები თანხა ოქტომბერში, ნომებერში ან სხვა თვეში გაიხარჯოს, ზუსტ %-ს ვერ დაასახელებს.

ბატონი ვახტან შაქარიშვილი ასევე დაინტერესდა თბილისის ბიუჯეტში ტრანსფერის გადმორიცხვის ვადით, რაზეც ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტში ტრანსფერი სავარაუდოდ, წლის მეორე კვარტლის ბოლოსკენ აისახევა. მანვე შეაჯამა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები და განმარტა, რომ მოცემულ ეტაპზე თბილისის მერიამ დადო საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება და არ აუღია სესხი. მომავალში შესაძლოა საჭირო გახდეს პირობითად, 20 ან 40 მილიონი ლარის სესხება, ან საკრედიტო ხაზით გათვალისწინებული თანხის სრულად ათვისება, რაც ზუსტად ვერ დადგინდება მოცემულ ეტაპზე და შესაბამისად, თბილისის ბიუჯეტშიც ვერ აისახება.

ბატონი ირაკლი ნადირაძე დაეთანხმა ბატონ ირაკლი ზარქუას, რომ საკრედიტო ხაზის გახსნა სესხის ავტომატურად აღებას არ ნიშნავს. მანვე იკითხა ბიუჯეტის გადასახდელებისთვის გათვალისწინებული 62 მილონი ლარი უზრუნველყოფს თუ არა არსებული სესხებისთვის გათვალისწინებული %-ს დაფარვას და ამიტომ ხომ არ მოუწია მერიას დამატებითი სესხის აღება, რასთან დაკავშირებითაც ბატონმა ლევან მიქავამ განმარტა, რომ ხსენებული თანხები დაიფარება სპეციალური ტრანსფერიდან მიღებული ასიგნებებიდან. მანვე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტით გათვალისწნებული

გაზრდილი თანხები მოხმარდება დაახლოებით 80 ახალი სასწრაფო-სამედიცინო მანქანის ეტაპობრივ შესყიდვას, ხოლო გამწვანების ღონისძიებების საბიუჯეტო კოდის 5 200 000 ლარით ზრდა გამოწვეულია პირველი რესპუბლიკისა და ვარკეთილის პარკების რეაბილიტაციის დაწყებით და იქ ახალი ხე-მცენარეების დარგვის საჭიროებით.

კომისიის წევრი, ქალბატონი მარიკა დარჩია დაინტერესდა, თუ რა მიზნით იზრდება თბილისის მუზეუმების დაფინანსება, რაზეც ბატონმა ლევან მიქავამ განმარტა, ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში დასრულდა სარემონტ სამშაოები, რის შემდეგაც საჭიროა იქ ექსპოზიციის მოწყობა, რისთისაც იზრდება შესაბამისი საბიუჯეტო კოდი. ქალბატონმა მარიკა დარჩიამ ასევე, იკითხა აღნიშნულ თანხების ნაწილი მოხმარდება თუ არა თბილისის თოჯინების მუზეუმს, რაზეც განემარტა, რომ თანხა გათვალისწინებულია მხოლოდ ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმისთვის.

საკითხს გამოეხმაურა, ქალბატონი მაკა ნასრაშვილი, რომელმაც განმარტა, რომ მიმდინარე წელს თოჯინების მუზეუმთან დაკავშირებით საპროექტო სამუშაოებს ახორციელებს ჩუღურეთის რაიონის გამგეობა მიღებული გრანტის ფარგლებში.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ირაკლი ზარქუამ, ლევან მიქავამ, ირაკლი ნადრაძემ, ვახტანგ შაქარიშვილმა, ვლადიმერ ძნელაძემ, მარიკა დარჩიამ, მაკა ნასრაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	7
წინააღმდეგი _____	1 (კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)
თავი შეიკავა _____	0

გადაწყვიტეს, კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ქეთევან ჯოხაძე